პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 28 (3005)
1966 წ. 9 ოთხშაბათი, თებერვალი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## სოფლის სპორტსმენები ემზადებიან

საქართველოს სოფლის სპორტსმენებს წლეულს ორ დიდ ღონისძიებაში მოუწევთ ასპარეზობა. ერთია საქართველოს სოფლის სპორტსმენთა X რესპუბლიკური სპარტაკიადა, ხოლო მეორე — სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადა. სწორედ ამ შეჯიბრებებისთვის მზადებას მიეძღვნა სოფლის სპორტსმენთა X სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის გუშინდელი სხდომა.

სხდომა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ თ. მანაგაძემ. მოსმენილ იქნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჟღენტისა და ამ საზოგადოების განყოფილების გამგის ს. ნათაძის ინფორმაციები. დამტკიცდა საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა ფუნქციები, მსაჯთა მთავარი კოლეგიის შემადგენლობა და საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ფინალური შეჯიბრებების გრაფიკი. ასპარეზობა გაიმართება ათ სახეობაში: ველოსპორტში (მცხეთა, 19-23 მაისი), ცხენოსნობაში (ზუგდიდი, 20-24 ივნისი) თავისუფალ ჭიდაობაში (ცხინვალი, 8-11 ივლისი), ფრენბურთში (სოხუმი, 22-26 ივლისი), კლასიკურ ჭიდაობაში (ბათუმი, 5-8 აგვისტო), მძლეოსნობაში (ბათუმი, 27-30 აგვისტო), ქართულ ჭიდაობაში (კასპი, 12-15 ოქტომბერი), ძალოსნობაში (თელავი, 1-4 ოქტომბერი), ჭადრაკში (მახარაძე, 3-10 ნოემბერი), შაშში (ზუგდიდი, 24-29 ნოემბერი).

## ახალი რეკორდი!

თბილისში მიმდინარეობს საქართველოს თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის ძალოსნობაში.

დიდი წარმატება მოიპოვა სპარტაკელმა გ. კოჩიევმა, რომელიც ამჯერად ქვემძიმე წონაში გამოვიდა. მან დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი აკვრაში — 177,5 კგ. ეს შედეგი 2 კგ-ით აღემატება საჩხერელი ზ. პაპიძის („კოლმეურნე") ძველ რეკორდს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გ. კოჩიევი რეკორდის დამყარებისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# თამაზ გიორგაძე — სსრ კავშირის სტუდენტ-მოჭადრაკეთა ნაკრებში

**მოსკოვი**, 8 თებერვალი (ტელეფონით). სტუდენტთა ზამთრის არდადეგების დღეებში ჩვენი დედაქალაქის მახლობელ აგარაკზე — „მზიან ქალაქში" მიმდინარეობდა სსრ კავშირის უძლიერეს სტუდენტ-მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი. ბრძოლაში ჩაება 7 ოსტატი და 5 ოსტატობის კანდიდატი.

დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისელ ოსტატობის კანდიდატს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს, 18 წლის თამაზ გიორგაძეს, რომელმაც I ადგილი დაიკავა 7,5 ქულით (11-დან).

ნიჭიერი მოჭადრაკე I ტურში დამარცხდა ოსტატ ცეშკოვსკისთან (მინსკი), მაგრამ შემდეგ უდიდესი ძალით ითამაშა. მან ზედიზედ მოუგო ცნობილ ოსტატებს ხოდოსს (დონის როსტოვი), კოგანს (ლვოვი), ალბურტსა (ოდესა) და ზილბერმანს (ოდესა) და ყაიმით დაასრულა შეხვედრები ოსტატ კაპენგუტთან (რიგა) და ოსტატობის კანდიდატ პრივოროდსკისთან (ბაქო). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება ზილბერმანთან, რომელიც ლიდერობას ეცილებოდა თბილისელს. IX ტურში ლიდერმა წაიფორხილა, როცა ოსტატ ზახაროვთან (დონის როსტოვი) მოგებაზე ითამაშა თანაბარ პოზიციაში. მაგრამ წაგებამ გული როდი გაუტეხა თამაზს. დასკვნით სამ ტურში მან 2,5 ქულა დააგროვა და პირველი მივიდა ფინიშზე. ამ წარმატებისთვის თბილისელი მოჭადრაკე შეყვანილია სსრ კავშირის სტუდენტ-მოჭადრაკეთა ნაკრებში, რომელიც ზაფხულში მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა მსოფლიოს ტრადიციულ პირველობაში.

II ადგილი დაიკავა რიგელმა ა. კაპენგუტმა (7 ქულა).

თამაზ გიორგაძემ დამსახურებულად გაიმარჯვა. მან საუცხოოდ იცის დებიუტები, კარგად ერკვევა ტაქტიკურ ბრძოლაში და, რაც მთავარია, გამარჯვებისადმი დიდი ლტოლვა ახასიათებს. ახალგაზრდა მოჭადრაკის სახით საქართველოს შესანიშნავი ოსტატი ეზრდება.

**ლ. პოლუგაევსკი,**
**შესარჩევი ტურნირის მთავარი მსაჯი.**

• • •

**როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ლენინგრადში „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალში თავი ისახელა ოსტატმა თ. ლომაიამ. აქ მოყვანილ ს უ რ ა თ ზ ე, რომელიც გასულ წელსაა გადაღებული საქართველოს ჩემპიონატის დროს, აღბეჭდილი ჰყრიან თეიმურაზ ლომაია (მარცხნივ) და თამაზ გიორგაძე.**

ფოტო ი. იუნაევისა.



## საზღვრის დარღვევისთვის... ოქროს მედალი

მე-4 გვ.

## ორ ასაკობრივ ჯგუფში

თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტდარბაზში დამთავრდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა კრივში. რინგზე გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ახალციხისა და მანგლისის 70-ზე მეტი სპორტსმენი. ტურნირის მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი: 19-20 წლის ახალგაზრდები და მოზრდილები.

ახალგაზრდებში I ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით დაიკავეს: გონჩაროვმა (სოხუმი), ვერულაშვილმა (ფოთი), პობედინსკიმ (ბათუმი), უჩანეიშვილმა (ფოთი), მარტიროსიანმა, მირზოევმა (ორივენი — თბილისი), შეროზიამ (ფოთი), ქელეხსაევმა (თბილისი), აკოფოვმა (ქუთაისი).

მოზრდილებში ჩემპიონები გახდნენ: თოფურია (ქუთაისი), ანტონიდი (სოხუმი), ყიფიანი, კუჭავა (ორივენი — თბილისი).

სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრების მონაწილეებმა ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების მხრივ არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს.

**ე. ქელბაქიანი.**

## უკანასკნელ საათს...

◆ **დ უ ბ ლ ი ნ ი**, 8 თებერვალი. კრივში ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალურ ტურნირში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ირლანდიისა და პოლონეთის ახალგაზრდული გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 5:5. საპასუხო მატჩი გაიმართება 6 მარტს ვარშავაში. თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ აგრეთვე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ახალგაზრდა მოკრივეები. ამ მეტოქეთა შეხვედრები გაიმართება 13 მარტს (ბელგრადში) და 17 აპრილს (მოსკოვში).

◆ **ვარშავა**, 8 თებერვალი. **ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა აქ ერთდროული თამაშის სეანსი (საათებით) გამართა ქალაქის ნაკრებთან. მასპინძელთა გუნდში იყვნენ 5 ოსტატი და 8 ოსტატობის კანდიდატი. ტალმა მოიგო 5 პარტია, ხოლო 8 ყაიმით დაამთავრა (6,5:1,5).**

◆ **ფილადელფია**, 8 თებერვალი. ადგილობრივ დარბაზში მძლეოსანთა ასპარეზობისას ჯ. პენელი ჭოკით გადახტა 503 სანტიმეტრზე. სიმაღლეზე ხტომაში რ. როსმა და ფ. კოსტელომ ერთნაირი შედეგი (208 სმ) აჩვენეს. გაიმარჯვა როსმა.

◆ **კ უ ო პ ი ო**, 8 თებერვალი. აქ გაიმართა ფინელი მოთხილამურეების ბოლო შესარჩევი შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ. დიდი ინტერესი გამოიწვია „მფრინავ მოთხილამურეთა" ტურნირმა, რომლის გმირად მოგვევლინა 16 წლის მ. ნიემი (229,5 ქულა). მას მხოლოდ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. კანკონენმა აჯობა (235,3 ქულა). ფინეთი მსოფლიო პირველობაში გამოიყვანს 21 სპორტსმენს.

# 3 პრიზიორი

ბ ა ქ ო, 8 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დამთავრდა „ბურევესტნიკის" მოკრივეთა ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა, რომელშიც 29 ქალაქის 150 სპორტსმენი მონაწილეობდა.

წარმატებით ჩაატარა ტურნირი თბილისელმა რ. რატიანმა (უმჩატესი წონა). I წრეში მან დაამარცხა ყაზახეთის მოკრივე ყურბან-გაზიევი, მეორეში კი მოუგო უკრაინის ჩემპიონს, დონეცკელ საკუნს. ნახევარფინალში თბილისელი შეხვდა სარატოველ სპორტის ოსტატ სემიონოვს. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა სემიონოვმა. რატიანი III საპრიზო ადგილზე დარჩა.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თბილისელმა ვ. ცერცვაძემაც (I ქვესაშუალო წონა), რომელმაც ფინალამდე მიაღწია და მხოლოდ აქ განიცადა მარცხი გამოცდილ ტაშკენტელ ოსტატ ხარანოვთან. ფინალამდე ცერცვაძემ მოუგო რსფსრ-ს წარმომადგენელს ზაგოროდნის, მოსკოველ შმაკოვსა და ალმაათელ გაგარინოვს.

III საპრიზო ადგილზეა თბილისელი ა. ფროლოვიც (ქვემძიმე წონა), რომელმაც დაამარცხა მინსკელი ბილიჩი. ნახევარფინალში ფროლოვს მოუგო კრასნოიარსკელმა ბულგაკოვმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით „ბურევესტნიკის" ჩემპიონები გახდნენ: ს. კონოვალოვი (კიევი) ი. მინეევი (ივანოვო), ბ. ეინულაევი (აზერბაიჯანი), ვ. კაპლუნი (მოსკოვი), რ. ხანანოვი (ტაშკენტი), გ. ივაშოვი (ომსკი), გ. ჩუბარევი (ირკუტსკი), ნ. გაჯიევი (აზერბაიჯანი), ა. მაკსუნოვი (სვერდლოვსკი), ა. სტოლიაროვი (ირკუტსკი).

შეჯიბრების შემდეგ შედგა მსაჯთა მთავარი კოლეგიის სხდომა, რომელმაც საზოგადოების ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანა ცერცვაძე, ფროლოვი და ვარდანიანი (ეს უკანასკნელი I წრეში წარბის დაზიანების გამო გამოეთიშა შეჯიბრებას).

**ა. შიშინაძე.**

# ცხარე ბრძოლებში

**გორი**, 8 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის საჭადრაკო კლუბში ერთი კვირაა მიმდინარეობს საქართველოს წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება, გათამაშდება 9 ტური. ასპარეზობაში ჩაბმულია თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, აბაშის, ამბროლაურის, წულუკიძის, წითელწყაროსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების 44 მოჭადრაკე. მონაწილეთა შორის არიან ოსტატობის კანდიდატები ა. რაზოვსკი (ქუთაისი) და ა. ჩხაიძე (თეთრი წყარო).

უკვე განვლილია 6 ტური. დაწინაურდნენ: ნ. შოგირაძე (ზუგდიდი), შ. მურიდია (გუდაუთა) — 5-5 ქულა, გ. შარმიაშვილი (ლაგოდეხი), გ. ცაგოიანი (ბათუმი)—4,5-4,5.

12 გამარჯვებული მოჭადრაკე შეადგენს ფინალს, რომელიც წრიული სისტემით აქვე გაიმართება.

**ა. ბლაგიძე,**
**სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## საქართველოს სპორტკავშირის პლენუმის წევრთა საყურადღებოდ!

16 თებერვალს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 49) მოწვეულია საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს VI პლენუმი.

პლენუმის დასაწყისი 12 ს.

ბიბლიოთეკა

# ტრადიციის ძალა

რა არის ხანგრძლივი სპორტული სიცოცხლე? ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მრავალი წლის მანძილზე ფლობდე მსოფლიოს რეკორდებს, ან აუცილებლად მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. ხანგრძლივ სპორტულ სიცოცხლეს მაშინ მიაღწევ, როცა სპორტში სისტემატურად იმეცადინებ და მას შენი ძირითადი საქმიანობის ყოველდღიურ თანამგზავრად გაიხდი.

ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ ამ სასწავლებლის პედაგოგები არიან. აი, ისინიც: ძმები — მეცნიერებათა დოქტორი ზ. ხანთაძე და დოცენტი გ. ხანთაძე, არქიტექტორი გ. გაბაშვილი და სხვები, რომელთა საშუალო ასაკი აღემატება 45 წელს.

გვინდა იმაზეც მოგითხროთ, თუ როგორ შექმნეს სპორტის ამ დიდმა ენთუზიასტებმა მნიშვნელოვან ღონისძიებათა ჩატარების ტრადიცია: 1959 წლიდან მოყოლებული ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალის ფრენბურთელთა გუნდმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა სპორტულ კათედრებთან და კლუბებთან. ქართველ მეცნიერთა სპორტული კოლექტივის წევრები საასპარეზოდ იყვნენ მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რიგის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, ტალინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში... ჩვენები ეცნობოდნენ ამ უმაღლეს სასწავლებელთა სხვადასხვა კათედრის მუშაობას, სწავლების მეთოდიკას, აკვირდებოდნენ სტუდენტებთან პრაქტიკულ და ლაბორატორიულ საქმიანობას... ამგვარად, ეს არ გახლდათ მხოლოდ წმინდა სპორტული შეხვედრები. ეს იყო რაღაც უფრო დიდი გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ლტოლვა იმის ამოცნობისაკენ, თუ რა უნდა გაკეთდეს სტუდენტთა უკეთ აღზრდისთვის. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი მეგობრობა.

უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალის სპორტსმენთათვის 1963 წლიდან „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭო რეგულარულად მართავს საკავშირო პირველობას. მოსკოვში I ასპარეზობაზე თუ სხვადასხვა ქალაქის ათამდე გუნდი შეიკრიბა, 1965 წელს თბილისში ჩამოვიდა ვაჟთა 16 და ქალთა 9 კოლექტივი.

გაკვირვებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ წლების განმავლობაში თბილისში მხოლოდ 1 უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა შორის იყო კარგად ორგანიზებული სპორტული მუშაობა მაშინ, როცა ჩვენს ქალაქში ძალიან ბევრი უმაღლესი სასწავლებელია.

და აი, 1964 წელს თბილისის უნივერსიტეტში დოცენტ გ. ასლანიდის ინიციატივით დაკომპლექტდა მასწავლებელ ფრენბურთელთა კოლექტივი. გუნდის შემადგენლობაში არიან უნივერსიტეტის პრორექტორი დაუსწრებელი და საღამოს სწავლების დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ლომოური, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ლ. ალექსიძე, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი გ. ჭილაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების წამყვანი მუშაკები ნ. ამაღლობელი, ი. ვაშაკიძე, ვ. ჩიხლაძე, რ. სალუქვაძე, მ. კავილაძე და სხვ.

1965 წლის თებერვალში უნივერსიტეტელები ეწვივნენ თავიანთ კოლეგებს რიგაში, სადაც რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს. ამ დღეებში რიგელები საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ თბილისს. მასპინძლებმა ძვირფას სტუმრებს გააცნეს უნივერსიტეტის კათედრებისა და ლაბორატორიების მუშაობა, აჩვენეს მცხეთა, სადაც საინტერესო მიმოხილვითი ლექცია წაიკითხა ნ. ლომოურმა, შემდეგ კი მასწავლებელ-ფრენბურთელთა გუნდებმა უნივერსიტეტის დარბაზში ორი მატჩი გამართეს. პირველ დღეს მასპინძლებმა იმარჯვეს — 3:2 (15:6, 12:15, 15:17, 15:5, 15:13), მეორე დღეს კი სტუმრებმა — 3 : 2 (15 : 5, 15 : 10, 13:15, 14:16, 17:15). თბილისელთაგან გამოირჩეოდნენ ძმები გ. ო. და ლ. ჭილაშვილები, აგრეთვე ნ. ლომოური.

მართალია, ამ შეხვედრათა ჯამში საბოლოოდ ფრე აღინიშნა, მაგრამ გაიმარჯვა მეგობრობამ და კეთილი ტრადიციის ცხოველმყოფელმა ძალამ.

ი. ზოიძე,
სპორტის ოსტატი.

# სად დაიკარგნენ იუნიორები?

თბილისის „დინამოს" სტადიონზე ამ დღეებში გაიმართა დედაქალაქის იუნიორთა შეჯიბრება მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „განთიადის", „ლოკომოტივის", „დინამოს", „შრომითი რეზერვებისა" და „სპარტაკის" წევრები, აგრეთვე ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები. სულ სტარტზე გამოვიდა 28 გოგონა და 59 ჭაბუკი. მათგან მხოლოდ ერთმა შეასრულა I თანრიგის ნორმატივი, ექვსმა — II, ხოლო ცამეტმა — III თანრიგისა (სათანრიგო ნორმატივების შეუსრულებლად ოთხმა მძლეოსანმა სხვადასხვა სახეობაში I ადგილი მოიპოვა).

რაშია საქმე? რატომაა ასე ცოტა მონაწილე? აი, რა გვიპასუხა მძლეოსნობაში თბილისის სპორტკავშირის ინსპექტორმა მ. ტუღუშმა:

— იუნიორთა ასპარეზობას, ე. ი. 19-20 წლის მძლეოსანთა შეჯიბრებას მეორე წელია ვატარებთ. შარშან უფრო ცოტა გამოვიდა სტარტზე, თანაც ისიც გაითვალისწინეთ, რომ 20 კაცი ლენინგრადშია წასული შეჯიბრებაზე.

რა გამოდის? ჩვენი მძლეოსნები ლენინგრადს რომ არ გამგზავრებულიყვნენ, თბილისში სულ რაღაც 120 მძლეოსანი-იუნიორი გვყოლია?! განა ეს სანუგეშო მდგომარეობაა?

ახლა ვნახოთ როგორ განაწილდნენ სახეობათა მიხედვით ახალგაზრდა მძლეოსნები. 100 მეტრზე რბენის სტარტზე სულ 5 გოგონა გამოვიდა, 600 მეტრზე — 3 და ა. შ. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა სახეობაში ასეთი „ხალხმრავლობა" იყო.

თუ წინათ იუნიორები შედარებით კარგად დარბოდნენ, ახლა 100 მეტრზე რბენაში საუკეთესო დრო 11,7 წამია. არა გვყავნან გრძელ მანძილზე მოსიარულენი, მრავალჭიდელები...

თითქმის ასეთივე სურათია გოგონათა მძლეოსნობაშიც. უფრო მეტიც: 200 მეტრზე გარბენის სტარტზე საერთოდ არავინ გამოსულა (!). რატომ შეიქმნა თბილისში ასეთი სავალალო მდგომარეობა? ნაკრების რეზერვს ხომ სწორედ ამ ასაკის სპორტსმენთაგან უნდა ვამზადებდეთ?! საქმე ის არის, რომ 19-20 წლის ე. წ. „უპერსპექტივო" სპორტსმენებთან მუშაობაზე თავს არავინ იწუხებდა. და აი, მოვიმკეთ კიდეც ნაყოფი. საგაზეთო წერილში ყველა მიზეზზე ვერ ილაპარაკებ და იმედია, თბილისის მძლეოსანთა ფედერაცია ამ საკითხს თავის სხდომაზე სპეციალური განხილვის საგნად გახდის.

რამდენიმე სიტყვა გუნდების წარმომადგენლებზე და მწვრთნელებზე. ჩვენს ქალაქში დამკვიდრდა ძალიან ცუდი ტრადიცია: შეჯიბრებაში განაცხადების დიდი დაგვიანებით წარმოდგენა. ასე იყო ამჯერადაც, თუმცა ყველასთვის ცნობილი იყო განაცხადების წარმოდგენის ვადა — 2 თებერვალი (განაცხადები ორი დღის დაგვიანებით წარმოადგინეს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი სახელდახელოდ ადგენდა განაცხადს წარმომადგენელთა თათბირზე).

თათბირზე ყველა წარმომადგენელი გააფრთხილეს, რომ მათ ეკრძალებათ სპორტულ სარბიელზე შესვლა. მაგრამ სულ ტყუილად! მათ ყურად არ იღეს მითითება და ყველამ დაარღვია ეს ელემენტარული წესი. და აი, ნახავდით ასეთ სურათს: შეჯიბრება მიდის, ორი წარმომადგენელი კი სარბენ ბილიკზე დამდგარა და საუბრობს...

დაბოლოს, კვლავ შეჯიბრებათა ჩატარების კულტურაზე. როგორც წესი, სპორტსმენის ფორმა და სამკერდე ნომერი უნდა განსხვავდებოდეს სხვა საზოგადოების წევრის ფორმისა და ნომრისგან. ესეც ელემენტარული ამბავია. მაგრამ, სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე არ იყო. ამ „პრობლემის" გადაწყვეტაზე თბილისში არავინ ფიქრობს.

მაინც სად დაიკარგნენ იუნიორები? საჭირო კია მათი მოძებნა, მათთან სისტემატური მუშაობა, თორემ იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება ცხრა მთას იქით არაა და საცაა კარს მოგვადგება.

ე. ბუკინი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## სახელი, სპორტსმენი და შედეგები

გ ო გ ო ნ ე ბ ი. 80 მ თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა — თ. პავლოვა („დინამო") — 12.0 და 533; რბენა 100 მ — ვ. ნოვოჩიხინა („სპარტაკი") — 13,3; 600 მ — ა. არეშკინა („ბურევესტნიკი") — 1.55,0; ბადროს ტყორცნა — ა. მატუსოვა („დინამო") — 37,86; ბირთვის კვრა — ნ. აბრამიშვილი („სპარტაკი") — 10,15; შუბის ტყორცნა — ლ. ბეჟანოვა („ბურევესტნიკი")—38,56; სიმაღლეზე ხტომა — ლ. სავჩენკო („დინამო") — 140.

ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. რბენა 100 მ — ლ. მღებროვი („დინამო"), — 11,7; რბენა 300 და 1000 მ — ბ. კრავჩენკო („ბურევესტნიკი") — 38,2 და 2.46,9; 600 მ — გ. ჩივიაშვილი („ბურევესტნიკი") — 1.38,0; 3000 მ — ო. მაღალაშვილი („განთიადი") — 10.07,0; 5000 მ — ს. კალენკოვი („განთიადი") — 21.55,8; 110 მ თარჯრბენი — კ. ნარმანია („ბურევესტნიკი") — 16,0; 1000 მ წინაღობებით — დ. კილაძე („ბურევესტნიკი") — 2.55,0; სიგრძეზე ხტომა — ვ. რასპოპოვი (ბავშვთა სპორტსკოლა) — 649; სიმაღლეზე ხტომა — ნ. ემეენკო („ბურევესტნიკი") — 170; ჭოკით ხტომა — მ. თათევოსიანი (ბავშვთა სპორტსკოლა) — 370, სამხტომი — ს. კივა („ბურევესტნიკი") — 14,64; ბადროს ტყორცნა — ა. პერლშტეინი („ბურევესტნიკი") — 36,70; შუბის ტყორცნა — ვ. რიაბინკინი („ბურევესტნიკი") — 55,12; უროს ტყორცნა — ო. ოდიშვილი („ბურევესტნიკი") — 53,85; ბირთვის კვრა — კ. ადამენკო („ბურევესტნიკი")—13,00.

# გაიმარჯვა მეგობრობამ
# 200 მეტრზე რბენის სტარტზე... არავინ ჩანს



## შუშის ქარხნის მოჭიდავეები

დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურის კოლექტივთა გუნდებს შორის. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა. II ადგილზე გავიდნენ ავჭალის შუშის ქარხნის, ხოლო III — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ა. თეთრაშვილი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), გ. ყაყიჩაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ზ. სახვაძე, ა. მარტყოფლიშვილი (ორივენი — „დინამო"), ა. ბუჯარაიძე (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), ა. მარგველანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), თ. ასანიძე („დინამო"), ს. წიკლაური (შუშის ქარხანა).

ქების ღირსია შუშის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი (მწვრთნელი გ. სულიკაშვილი), რომელმაც საჭიდაოდ ყველაზე მეტი მონაწილე გამოიყვანა. ამ საწარმოს ათლეტებმა გამოავლინეს კარგი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება.

ბ. მაზიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ს უ რ ა თ ზ ე: ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა — დინამოელი ზ. სახვაძისა (მარცხნივ) და გ. ლუხუტაშვილის (ფიზკულტურის ინსტიტუტი) შეხვედრის მომენტი.
ფოტო ვ. მორგუნოვისა.

## რამდენიმე სტრიქონით

### ✦ აბაშა

აქ გაიმართა „კოლმეურნის" ფიზკულტურული კოლექტივების რაიონული შეჯიბრება ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ველოსპორტში, შაშსა და ჭადრაკში. ასპარეზობაში თავი ისახელეს აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, პირველი მაისის ლენინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობათა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

ი. თოფურია.

### ✦ რუსთავი

დამთავრდა ქალაქის საჭადრაკო პირველობა, რომელშიც 17 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ს. სააკიანმა (15,5 ქულა 16-დან). II-III ადგილები გაიყვეს შარშანდელმა ჩემპიონმა გ. ძინძიბაძემ და მ. მასვენცევმა (11,5-11,5).

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

# ყოველი

## მედლების დაბრუნება მოუხდათ

დასავლეთ გერმანიიდან მოვიდა სენსაციური ცნობა: მარიკა კილიუსი და ჰანს-იურგენ ბოიმლერი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უბრუნებენ ფიგურულ სრიალში ინსბრუკის „თეთრ ოლიმპიადაზე" მოპოვებულ ვერცხლის მედლებს. მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

რასაკვირველია, დასავლეთგერმანელი ფიგურისტები თავიანთი სურვილით როდი ეთხოვებიან საპატიო ნადავლს. პრესაში უკვე იყო ცნობა, რომ ინსბრუკის შემდეგ კილიუსსა და ბოიმლერს წაუყენეს ბრალდება პროფესიონალობაზე. ცნობილი გახდა, რომ ეს „მოყვარულები" ოლიმპიადამდე დიდი ხნით ადრე დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ფირმისგან ფულს იღებდნენ მათი ნაწარმის რეკლამისთვის და ყინულის რევიუში გადასვლაზე კონტრაქტიც კი დადეს.

გფრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ყოველნაირად ცდილობდა მიეჩქმალა ეს სასკანდალო საქმე, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნით იგი იძულებული გახდა დაეწყო შესაბამისი გამოძიება. შპორტბუნდელი მოღვაწეები ყოველნაირად ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ გამოძიება და მხოლოდ ამ დღეებში გამოქვეყნდა შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთგერმანული სპორტის ხელმძღვანელები კილიუსისა და ბოიმლერის გამართლებას შეეცადნენ, ოლიმპიური კომიტეტი დაეყრდნო რეალურ ფაქტებს და გამოძიება „არადამაკმაყოფილებლად" ჩათვალა. გადაწყდა, ეს შემთხვევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მომავალ სესიაზე განეხილათ.

და აი, მაშინ, შპორტბუნდის ხელმძღვანელთა რჩევით, კილიუსმა და ბოიმლერმა თანხმობა განაცხადეს არ დაეცადათ სესიისთვის და თავიანთი ნებით დაებრუნებინათ მედლები. დასავლეთგერმანელი მოღვაწეები არ ფარავენ, რომ ეს ნაბიჯი გადადგმულია გარკვეული მიზნით. საქმე ის არის, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მომავალი სესია გაარჩევს 1972 წლის ზაფხულის თამაშების ჩატარების ადგილის საკითხსაც. შპორტბუნდს ხომ მიუნხენის კანდიდატურა აქვს წამოყენებული! ორი დასავლეთგერმანელი მოციგურის სპორტული უპატიოსნობის განხილვა, შპორტბუნდის აზრით, სასიკეთო გავლენას არ მოახდენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებზე. შემთხვევითი არ იყო, რომ დასავლეთ გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ვიულფინგი, რომელმაც კომენტარი გაუკეთა გფრ-ის მოციგურეების მიერ მედლების დაბრუნების ფაქტს, გამოტყდა:

„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე დიდ შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა საერთაშორისო კომიტეტის სესიაზე და ცუდ შთაბეჭდილებას დატოვებდა დეპუტატებზე. ახლა კი ჩვენ თავიდან ავიცილეთ ეს უსიამოვნო დისკუსია".

## „ძალოსნობა — მძლეოსნობის საიდუმლოება"

შვედურმა გაზეთმა „იდროტსბლადეტმა" შეკითხვით მიმართა მძლეოსნობის ამერიკელ სპეციალისტს, „უესტერნ კენტუკი სტეიტ კოლეჯის" მწვრთნელს თომ ესკერს: „რა არის ამერიკელ ბირთვის მკვრელ სპორტსმენთა საიდუმლოება?"

„მძლეოსანთა წარმატების საიდუმლოება, საერთოდ, — უპასუხა ამერიკელმა მწვრთნელმა, — ძალოსნობაა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ბირთვის მკვრელებს. მას შემდეგ, რაც ბირთვის მკვრელი სპორტსმენი დაეუფლება ტექნიკის საჭირო საფუძვლებს, მის წინაშე წამოიჭრება ამოცანა: როგორი მეთოდით გამოიყენოს ეს ტექნიკა. ამის გაკეთება კი მხოლოდ ფიზიკური ძალის მომატებით შეიძლება. ამიტომ შტანგით მეცადინეობას ბირთვის მკვრელები თავიანთი საწვრთნელი დროის 80-90 პროცენტს ანდომებენ. აი, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში ამერიკელი მძლეოსნების წარმატებათა ძირითადი მიზეზი.

შტანგით წვრთნის პიონერია ამერიკელი ბირთვის მკვრელი პერი



# უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად

აპრილში გაიმართება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის II ჯგუფის გუნდების ტურნირი (აქ გამარჯვებული ორი კოლექტივი გაისად „ა“ კლასის ოსტატთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს). ფინალურ ტურნირს წინ უძღვის II ჯგუფის 18 კოლექტივის შესარჩევი შეჯიბრება. გუნდები სამ ჯგუფად არიან დაყოფილი. შეხვედრები ტარდება ტაშკენტში, ერევანსა და ვოლგოგრადში.

გმირ ქალაქში სტარტი აიღო 6-მა კოლექტივმა. ესენი არიან: მინსკის „სპარტაკი“, თბილისის „ბურევესტნიკი“, ბაქოს აზინხ-ი, აშხაბადის „ზახმეტი“, ფრუნზეს „ბურევესტნიკი“ და ვოლგოგრადის „დინამო“.

საქართველოს კალათბურთელები პირველ მატჩში შეხვდნენ მასპინძლებს. დაძაბული ბრძოლა მოიგეს ქართველმა სპორტსმენებმა — 67:64.

სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ვოლგოგრადის „დინამოს“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო და ტექსტი ვ. გლეზერისა.

კალათბურთი

## პირველი ტურის შემდეგ

მინსკსა და ტარტუში დამთავრდა სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის I ტურის მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან XIII-XXVIII ადგილებს. სატურნირო ცხრილებში ასეთი მდგომარეობაა:

**მინსკი.** „ბურევესტნიკი“ (მინსკი) — 7 ქულა, „დინამო“ (ირკუტსკი) — 6, „ავანგარდი“ (ლუგანსკი) — 5, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 4, „დინამო“ (ერევანი)—3, „ხიმიკი“ (დაუგავპილსი) — 2, „ალგა“ (ფრუნზე) — 1, „ტაჯიკისტანი“ (დუშანბე) — 0.

**ტარტუ.** „კალევი“ (ტალინი) — 7 ქულა, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 6, „ბურევესტნიკი“ (ტულა) და გდო (კიშინიოვი) — 4-4, „დინამო“ (ვილნიუსი) და „დინამო“ (ტაშკენტი) — 3-3, „დინამო“ (ლენინგრადი) — 1, „ზახმეტი“ (აშხაბადი) — 0.

მსგავსი ასპარეზობა ქალთა გუნდებისთვის გაიმართა **დუშანბეში.** აი, I ტურის შედეგები: „სპარტაკი“ (დონეცკი) — 7 ქულა, „სპარტაკი“ (ხარკოვი) — 6, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 5, „კალევი“ (ტალინი) და „სპარტაკი“ (ტაშკენტი) — 3-3, „სპარტაკი“ (აშხაბადი) — 1, „ტაჯიკისტანი“ (დუშანბე) — 0 ქულა.

ფრენბურთი

## უძლიერესი

1965 წლის სეზონში მოპოვებული შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულების სიები.

**ქალები:** 1. ტ. სოომე-სიმსონი (ტალინის „კალევი“), 2. ა. დმიტრიევა (მოსკოვის „დინამო“), 3. ტ. კივი (ტალინის „დინამო“), 4. გ. ბაკშეევა (კიევის „დინამო“), 5. რ. აბეანდაძე (თბილისის „დინამო“) 6. ი. ერმოლოვა (თბილისის „ბურევესტნიკი“), 7. ა. ივანოვა (თბილისის „განთიადი“), 8. ე. პოტანინა (მოსკოვის „ტრუდი“), 9. მ. კული (ცსკა), 10. ტ. ჩალკო (მოსკოვის „დინამო“).

**გოგონები.** 1. ტ. ჩალკო, 2. რ. ისლანოვა (მოსკოვის „სპარტაკი“), 3. ო. მოროზოვა (მოსკოვის „დინამო“), 4. მ. ჩუვირინა (მოსკოვის „დინამო“), 5. ა. ერემეევა (ლენინგრადის „დინამო“), 6. ლ. მგალობლიშვილი (თბილისის „ბურევესტნიკი“) 7. ზ. იანსონე (რიგის

ჩოგბურთი

„დაუგავა“), 8. ტ. გალიამუტდინოვა (ტაშკენტის „სპარტაკი“), 9. ე. კრიუჩკოვა (მოსკოვის „დინამო“), 10. ი. ბეზანიცკი (პიარნუს „იუნოსტი“).

**ვაჟები.** 1. თ. ლეიუსი (ტალინის „დინამო“), 2. ა. მეტრეველი (თბილისის „დინამო“), 3. ვიაჩესლავ ეგოროვი (ცსკა), 4. ი. პარმასი (ტალინის „დინამო“), 5. ხ. ლიხაჩოვი (ბაქოს „ნეფტიანიკი“), 6. რ. სივოხინი (კიევის „დინამო“), 7. მ. მოზერი (კიევის „დინამო“), 8. ა. ივანოვი (ლენინგრადის სკა), 9. ა. იუხველტი (ტალინის „კალევი“), 10. ა. პოტანინი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი“).

**ჭაბუკები.** 1. ვ. კოროტკოვი (ცსკა), 2. თ. კაკულია (თბილისის „ბურევესტნიკი“), 3. ა. ვოლკოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), 4. ბ. ბუზმაკოვი (კიშინიოვის „მოლდოვა“), 5. ნ. აკსანოვი (მინსკის ასკ), 6. ხ. სეპი (ტალინის „კალევი“), 7. ა. სამუილოვი (მოსკოვის „ბურევესტნიკი“), 8. ს. ევინგი (ტალინის „კალევი“), 9. ვ. გლოტოვი (მოსკოვის „ტრუდი“), 10. ა. ეპიკი (ტალინის „კალევი“).

შენიშვნა: თ. კაკულიას ვაჟთა შორის 1964 წელს 38-ე ადგილი ეჭირა, 1965 წლის შედეგებით კი იგი მე-19 ადგილზეა.

# უთოფო ჯარისკაცები

ბაკურიანი, 8 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადის მეორე დღესვე თავი იჩინა ზოგიერთმა ხარვეზმა, რაც ჩრდილს აყენებს აშ კარგად მოწყობილ ასპარეზობას. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ჰოკეისტთა ტურნირს. ადიგენმა გამოგზავნა გუნდი, რომლის აღჭურვილობას მხოლოდ, ასე ვთქვათ, შიშველი სპორტსმენები შეადგენენ. მათ არა აქვთ სათანადო ფორმა — ფეხსაცმელი, ციგურები და ჩოგნები. და აი, ადიგენელები კოლეგებში ეძებენ საბრძოლო იარაღს, რაც ზოგჯერ მატჩების შეფერხებასაც კი იწვევს. პირდაპირ სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს... ისე რა გაუჭირდათ რაიონში, რომ თავის გუნდს ვერ შეუძინეს აუცილებელი ინვენტარი?! გუნდის მწვრთნელ ზ. კონსტანტინოვთან საუბარში გამოირკვა, რომ ახალგაზრდობის გატაცებას ადიგენში ყოველნაირად ახშობენ. ახალგაზრდებმა იქ სამჯერ მოაწყეს მოედანი და „უფროსებმა“ სამჯერვე ჩამოართვეს მათ ყინულის სარბიელი.

გუშინ ვაჟები იაგორას ველზე დარბოდნენ. ამჯერად მოზრდილებსაც და ჭაბუკებსაც 15 კმ უნდა დაეფარათ. ბურევესტნიკელმა პირველთანრიგოსანმა ზ. გულბანმა წინდღით მარცხისთვის ახლა აიღო რევანში: სპორტის ოსტატს, თანაგუნდელ ნ. ბიტიუკოვს 57 წამით მიასწრო ფინიშზე. ჭაბუკთა შორის კვლავ ისახელა თავი მესტიელმა თ. გულბანმა („კოლმეურნე“).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ დღესაც მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. ვაჟთა და ჭაბუკთა შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა 63 სპორტსმენი, რომელთა შორის იყო 1 სპორტის ოსტატი და 19 პირველთანრიგოსანი. როცა მსაჯთა კოლეგიამ შედეგები შეაჯამა, გამოირკვა, რომ მონაწილეთა ნახევარზე მეტმა (37 სპორტსმენმა) შეასრულა I თანრიგის ნორმატივი!

გუშინ „მეორე ფრონტი“ გაიხსნა კოხტაგორაზე: სამთო-მოთხილამურეებმა სპეციალური სლალომით დაიწყეს ტურნირი. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ტრასები (ჭაბუკებიც და გოგონებიც მათთან ერთად ასპარეზობდნენ) საკმაოდ რთულია (მათი ავტორია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი პ. კოზანაშვილი). ვაჟთა შორის გამოდიოდა 5 ოსტატი, შეჯიბრების შემდეგ მათ 1 ოსტატი შეემატათ!

### შედეგები კვლავ მაღალია

აი, როგორ წარიმართა ბრძოლა: პირველი ცდის შემდეგ (ტრასის სიგრძე 520 მ, 68 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 180 მ) დაწინაურდა სპორტის ოსტატი გ. აბრამიშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.00,8. მას 4,2 წამით ჩამორჩა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ჩემპიონი ი. ჯანგობეგოვი (ბორჯომი, „დინამო“). III შედეგი ჰქონდა ოსტატობის კანდიდატს ვ. ალახვერდიევს (თბილისი, „დინამო“) — 1.07,4. მეორე ცდაზე (ტრასის სიგრძე 510 მ, 63 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 170 მ) დისტანცია ერთგვარად გაიოლდა და ტემპიც გაიზარდა. უპირატესობა ამჯერადაც აბრამიშვილს დარჩა — 42,8. მეორე შედეგი აჩვენა სპორტის ოსტატმა შ. კოზანაშვილმა (ბორჯომი, „დინამო“) — 45,0, მაგრამ პირველი ცდისას იგი დაეცა, საბოლოოდ მხოლოდ 1.18,5 აჩვენა და პრიზიორთა მიღმა დარჩა.

კარგად იარა ალახვერდიევმა (47,4). 2 ცდის ჯამში იგი II ადგილზე იყო, რაც ოსტატობის მოპოვების შანსს იძლეოდა. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებული იყო... ჯანგობეგოვზე. მხოლოდ მას შეეძლო ალახვერდიევის „შევიწროება“, მაგრამ ბორჯომელმა ოსტატმა ფინიშთან 30 მეტრის დაშორებით წაიფორხილა და საბოლოოდ IX ადგილს დასჯერდა. ალახვერდიევი სპორტის ოსტატი გახდა. „იშვა“ აგრეთვე სპორტის ოსტატობის 2 კანდიდატი: მოზრდილთა ასპარეზობის III პრიზიორი ო. ხვედელიძე (ბორჯომი, „დინამო“) და ჭაბუკებში გამარჯვებული, ბაკურიანის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ი. ნასყიდაშვილი, რომელმაც საერთო III შედეგი აჩვენა.

რესპუბლიკას 3 ოსტატობის კანდიდატი შემატა ქალთა ტურნირმა. ეს ნორმა პირველად შეასრულეს ნ. ფალიანმა (მესტია, განათლების განყოფილება), ნ. ომიაძემ (თბილისი, „დინამო“) და გოგონათა ტურნირში უძლიერესმა, ბაკურიანელმა მეცხრეკლასელმა მოსწავლემ მ. თვაურმა.

ო. გელაშვილი.

• • •

მოგვყავს ტექნიკური შედეგები:

**სპეციალური სლალომი.** ქალები (ტრასის სიგრძე ორივე ცდაზე 400 მ, სიმაღლეთა სხვაობა 170 მ, კარი — 52 და 48) — ლ. გოგოლაძე (ქუთაისი, „კოლმეურნე“) — 1.51,6, ნ. ფალიანი (მესტია, განათლების განყოფილება) — 1.51,8, ნ. ომიაძე (თბილისი, „დინამო“) — 1.54,2. **გოგონები** — მ. თვაური (ბორჯომი, განათლების განყოფილება) — 1.53,4, ა. ჯაფარიძე — 3.13,9, ე. ჯაფარიძე (ორივენი — მესტია, განათლების განყოფილება) — 3.27,9. **ვაჟები** — გ. აბრამიშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.43,6, ვ. ალახვერდიევი (თბილისი, „დინამო“) — 1.54,8, ო. ხვედელიძე (ბორჯომი, „დინამო“, პირადი) — 2.01,1. **ჭაბუკები** — ი. ნასყიდაშვილი (ბორჯომი, განათლების განყოფილება) — 2.00,3, ჯ. მაკიევი (ბორჯომი, „დინამო“) — 2.11,9, დ. თვაური (ბორჯომი, განათლების განყოფილება) — 2.22,6.

**15 კმ რბენა.** ვაჟები — ზ. გულბანი — 45.49,0, ნ. ბიტიუკოვი (ორივენი — თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 46.46,0, ნ. კოზანაშვილი (სამხრეთ ოსეთი, „განთიადი“) — 48.02,0. **ჭაბუკები** — თ. გულბანი (მესტია, „კოლმეურნე“) — 51.18,0, ი. ქუმარიტოვი (სამხრეთ ოსეთი, „განთიადი“) — 51.23,0, რ. ჯაფარიძე (მესტია, „კოლმეურნე“) — 53.08,0.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ: I ჯგუფში — ბორჯომის კოლექტივი, II ჯგუფში — სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები.

## გუშინ...

ბაკურიანში დამთავრდა ჰოკეისტთა ტურნირი. I ადგილი მოიპოვა თბილისის გუნდმა (ბოლო დღეს მოუგო ადიგენს — 9:2), II — ბორჯომის კოლექტივმა (დაამარცხა ახალქალაქელები — 6:1), III—ადიგენის გუნდმა. ქალთა (3×5 კმ) და ვაჟთა (4×10 კმ) ესტაფეტებში გაიმარჯვეს თბილისელებმა: 1:03.51 და 2:02,0. გიგანტურ სლალომში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გ. აბრამიშვილი — 1.25,2 და ლიანა გოგოლაძე — 1.22,7. გუნდურ ჩათვლაში 3 დღის შემდეგ ლიდერობენ: I ჯგუფში — ბორჯომელები, მეორეში — ქუთაისელები.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ო'ბრაიენი, მაგრამ ამ იარაღით მისი მუშაობა ბავშვურ თამაშად მოგეჩვენებათ, თუ გაეცნობით ნიდერის, ლონგის, მატსონის, ორტერის და სხვათა წვრთნას, რომლებიც ძალოსნობას ორჯერ მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე პერი. თანაც ისინი რეგულარულად ღებულობენ დატვირთვას. შტანგას ფართოდ იყენებენ ჩვენი მხტომელებიც.

### ყველაზე პატარა კარიერა

ესპანელი ფრანსისკო კორნევილა თანატოლების მსგავსად ბავშვობიდანვე ფეხბურთელად გახდომაზე კი არ ოცნებობდა, არამედ ფეხბურთის მსაჯობაზე. ცოტა წამოიზარდა თუ არა, კორნევილამ წარმატებით დაამთავრა მსაჯთა მოსამზადებელი სპეციალური კურსები. ფრანსისკოს ოცნება, როგორც იქნა, ახდა და მას სამსაჯოდ დაავალეს II ლიგის გუნდების მატჩი.



შეხვედრა ისე არ წარიმართა, როგორც კორნევილას ჰქონდა წარმოდგენილი. უკვე მე-10 წუთზე ორივე გუნდის ფეხბურთელებმა იმის ნაცვლად, რომ ბურთისთვის ერტყათ ფეხები, ერთმანეთს დაუწყეს ცემა, ხოლო ტრიბუნებიდან მსაჯისკენ წამოვიდა დამპალი ფორთოხლების, ბოთლების, ჯოხებისა და ქვების ნამდვილი სეტყვა.

მატჩი შეწყდა, მაგრამ ახალგაზრდა დებიუტანტის ფათერაკი ამით არ დამთავრებულა: როცა გულდაწყვეტილი მსაჯი გასახდელიდან გამოვიდა, მას თავს დაესხნენ გაცოფებული გულშემატკივრები და სასტიკად ცემეს. კორნევილა პოლიციამ გადაარჩინა.

მეორე დღეს, როცა ფრანსისკო უკან აბრუნებდა ლიცენზიას ფეხბურთის მსაჯობის შესახებ, მან თქვა:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი კარიერა ასე სწრაფად დამთავრდა: მე ხომ მსაჯობას ვაპირებდი და არა გლადიატორობას! ჩვენი ფეხბურთი ამჟამად საზიზღრობაა და სხვა არაფერი. ფულისა და პრემიის გულისთვის ფეხბურთელები მზად არიან დახოცონ ერთმანეთი, ხოლო მაყურებელთა ერთ ნაწილს ძალიან მოსწონს ეს მხეცური აჟიოტაჟი და სიხარულით ემშვება მასში“.

### მამაცი ეფრეიტორი

ინგლისელი ეფრეიტორი კელი არმიაში გაწვევამდე მოკრივე გახლდათ. და ამ დღეებში კრივის მეოხებით მამაცმა ეფრეიტორმა ახეულის მეთაურისგან მადლობა და მოკლევადიანი შვებულებაც კი დაიმსახურა. საქმე ის არის, რომ კრივში არმიული ჩემპიონატის დროს კელი უნდა შეხვედროდა თავისი ნაწილის ლეიტენანტ შერიდანს.

პირველივე რაუნდიდან კელი ყოველნაირად ცდილობდა ძალიან არ ეცემა მეტოქე, რომელიც მასზე მაღალი ჩინისა იყო. ეს უაღრესად ძნელი საქმე აღმოჩნდა, ვინაიდან ლეიტენანტი მეტისმეტად სუსტი მოკრივე გამოდგა.

## მხრიდან

შესაძლოა, ორთაბრძოლა ისე უინტერესოდ დამთავრებულიყო, როგორც დაიწყო, რომ მე-3 რაუნდში კელის მოულოდნელი დარტყმა არ ყოფილიყო. იგი ძალზე სუსტი იყო, მაგრამ ლეიტენანტი მოჭრილი ხესავით დაეცა რინგზე.

კელის შეეშინდა, იგი სამხედრო ყაიდაზე — „სმენაზე“ გაშეშდა და ადგილიდან არ დაძრულა, სანამ რინგზე მსაჯი წამებს ითვლიდა, მსაჯებმა აღნიშნეს ნოკაუტი და უნდოდათ გამარჯვებულის ხელის აღმართვა, მაგრამ ამის ნაცვლად კელიმ მხოლოდ სამხედრო სალამი მისცა დამხობილ უფროსს.

„კელი სამაგალითო ჯარისკაცია, იგი ფიქრობს, რომ ახეთი დისციპლინა და უფროსების მიმართ თავდაჭერა მუდამაა საჭირო“, — განაცხადა ლეიტენანტმა, როცა გონს მოვიდა. ახეულის უფროსმა კი მამაც ეფრეიტორს „ცუდი ჯარისკაცების ჭკუის მასწავლებელი“ უწოდა.






ყინულზე სპორტულ ცეკვებში ევროპის ჩემპიონებმა — ინგლისელებმა დიანა ტაულერმა და ბერნარდ ფორდმა ძალიან მოიწონეს საბჭოთა წყვილის — ლ. პახომოვასა და ვ. რიჟკინის გამოსვლა ნებისმიერი პროგრამით. „ჩვენი აზრით, უკვე სულ ახლო მომავალში ისინი შეძლებენ მეტოქეობა გაგვიწიონ ჩვენც და სხვებსაც, ამჟამად უფრო ძლიერ მოცეკვავეებს.

რა შეიძლება ითქვას მათს ოსტატობაზე? მათი ნებისმიერი ცეკვა პირდაპირ ბრწყინვალეა. ორიგინალური მუსიკა, მკვეთრი, გადასვლები, რთული ტექნიკური ილეთების ლამაზად შესრულება — ყოველივე ეს უაღრესად დიდ ყურადღებას იმსახურებს... რაც შეეხება სავალდებულო ცეკვებს, ამაში პახომოვა და რიჟკინი ჯერჯერობით ჩამორჩებიან ევროპის საუკეთესო მოცეკვავეებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი დებიუტანტები არიან...“

ჭეშმარიტი სიტყვებია.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ პახომოვასა და რიჟკინის წყვილს.

ქვედა სურათზე აღბეჭდილი არიან ჩემპიონატის მასპინძლები, ჩეხოსლოვაკიელი ფიგურისტები — ნორჩი ონდრეი ნეპელა (III ადგილი) და ჰანა მაშკოვა, რომელმაც ნამდვილი გმირობა ჩაიდინა: თაბაშირში ჩასმული ხელით იასპარეზა და IV ადგილს დაეუფლა.

ფოტო ა. საკოვისა და ჟურნალ „სტადიონისა“ (ჩეხოსლოვაკია).



საერთაშორისო ფოსტიდან

# ალმეიდა გარინჩას წინააღმდეგ

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ახლა ათასნაირ პროგნოზებს აკეთებენ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინ. წინასწარმეტყველთა როლში გამოდიან სპორტული „ვარსკვლავები“, მწვრთნელები, სპეციალისტები, მიმომხილველები. ამ დღეებში, მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატის საბოლოო შედეგების თაობაზე საკმაოდ კონკრეტულად გამოთქვა თავისი აზრი განთქმულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გარინჩამ.

„თითქმის ასპროცენტიანი დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, — განაცხადა მან, — რომ 1966 წლის ჩემპიონატში გაიმარჯვებს ბრაზილიის გუნდი. რასაკვირველია, მას უკვე ორჯერ მოპოვებული ტიტულის დაცვა მოუხდება უკიდურესად მძიმე ბრძოლებში. ჩემი აზრით, ბრაზილიელთა ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგეები იქნებიან იტალიისა და უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდები, თუმცა, მოულოდნელი სიძნელეები შეიძლება წამოიჭრას ჯერ კიდევ ჯგუფში შეჯიბრებისას“.

შემდეგ გარინჩამ ხაზი გაუსვა, რომ სუსტ მეტოქედ არ მიაჩნია ბრაზილიასთან ერთ ჯგუფში მყოფი ბულგარეთის ნაკრები. „ეს გუნდი, — თქვა ფეხბურთელმა, — არანაკლებ ხიფათს წარმოადგენს, ვიდრე ჯგუფის სხვა მონაწილეები — უნგრეთი და პორტუგალია. ბულგარეთის ფეხბურთელები უნარიანად იყენებენ შემტევ ტაქტიკას და ნამდვილად შეუძლიათ ბრძოლა გამარჯვებისთვის“.

ჟურნალისტები, რა თქმა უნდა, დაინტერესდნენ, თუ რა აზრისაა გარინჩა ინგლისის გუნდზე. ბრაზილიელმა სპორტსმენმა ამის თაობაზე თქვა:

„პროგნოზების მრავალრიცხოვანმა მოყვარულებმა უკვე მიანიჭეს პირველობა ჩემპიონატის ორგანიზატორს — ინგლისის ეროვნულ ნაკრებს. ჩემი აზრით, ისინი მეტისმეტად აჩქარდნენ ინგლისელებს ერთობ ცოტა შანსი აქვთ მოიგონ ჩემპიონატი. ისინი ძალზე პედანტურად თამაშობენ მათ პრაქტიკაში აქვთ ე. წ. „ტიკ-ტაკ ფეხბურთი“, ფეხბურთი საათის ქანქარის მსგავსად. ინგლისელთა მანერა ძალიან მეთოდურია, ისინი თამაშობენ მინდვრის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და ვერაფერს ვერ აღწევენ“.

გარინჩას ამ უაღრესად პატრიოტულ ინტერვიუს წარმოუდგენელი აღფრთოვანებით შეხვდნენ ბრაზილიელი გულშემატკივრები, რომლებიც ერთობ შეშფოთებული არიან თავიანთი გუნდის ბედით. მაგრამ მიიღეს თუ არა ეს თავისებური ბალზამი თავიანთი „სულის ჭრილობებისთვის“, ბრაზილიელი ფეხბურთის მოყვარულნი მაშინვე აღმოჩნდნენ ცივი შხაპის ქვეშ. გარინჩას წინააღმდეგ გაილაშქრა ამ ქვეყნის საფეხბურთო წრეებში არანაკლებ ცნობილმა ადამიანმა, გამოცდილმა მწვრთნელმა ხ. ალმეიდამ.

ალმეიდა თავის თანამემამულეზე არანაკლები კატეგორიულობით აცხადებს:

„პელეც და გარინჩაც, რომლებიც წინასწარმეტყველებენ ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებას, ღრმად ცდებიან. ბრაზილია ინგლისში დაკარგავს ჟიულ რიმეს თასს. ეს მოხდება იმიტომ, რომ ბრაზილიური ფეხბურთი ამჟამად ღრმა კრიზისს განიცდის, რომელიც სახიფათო ავადმყოფობის შედეგია. ეს სახიფათო ავადმყოფობაა გაზვიადებული დარწმუნებულობა საკუთარ უპირატესობაში, რომელსაც ასე გულმოდგინედ ევლებიან თავს გულშემატკივრებიც და ოფიციალური პირებიც და რომელიც ეფუძნება მსოფლიო ჩემპიონობის ორ ბრაზილიურ ტიტულს“.

აფასებს რა იმ ადამიანთა პროგნოზებს, ვისაც ბრაზილიის ნაკრების იმედი აქვთ, ალმეიდა განაგრძობს:

„ისინი ცხოვრობენ ჩვენი ნაკრების მიერ შვეციასა და ჩილიში ნაჩვენები შედეგებით და საფსებით არ იღებენ მხედველობაში, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები სულაც აღარ არიან ისინი, რაც ადრე იყვნენ. ახლანდელი ეროვნული ნაკრები (პელეპა და გარინჩას გარდა) არც ფიზიკური მომზადებით, არც ტექნიკით არ შეედრება იმას, რომელმაც ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის თასი. ფანატიკურმა პროპაგანდამ კერპებად აქცია ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც არც ნიჭი აქვთ, არც უნარი, არც გამოცდილება, არც ძველი ნაკრების წევრთა სიმწიფე. ბრაზილიური ფეხბურთის ოქროს ეპოქა განვლილი ეტაპია და მას ვეღარ დააბრუნებ“.

ალმეიდა სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში ევროპის გუნდების კლასი საგრძნობლად ამაღლდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ინგლისის გუნდს, რომელსაც გარინჩა ასე აშკარად აბიაბრუებს და არც იმას უწევს ანგარიშს, რომ ეს გუნდი საკუთარ მინდორზე ითამაშებს. ევროპის სხვა ნაკრებთა შორის მწვრთნელი გამოყოფს იტალიის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ესპანეთის გუნდებს. მისი აზრით, არ შეიძლება მხედველობიდან გამოუშვათ პორტუგალიის ნაკრებიც, რომელიც, თუმცა პირველად გამოდის მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ თავის შემადგენლობაში საკმაო რაოდენობით ჰყავს საერთაშორისო ბრძოლებში გამობრძმედილი მოთამაშეები.

▲ პრაღა. გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური შეხვედრა ბრნოს „ლოკომოტივსა“ და შვეციის ბტკ-ს შორის. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 5:0.

▲ სიდნეი. ავსტრალიის საჩოგბურთო ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ემერსონმა დაამარცხა თანამემამულე ნიუკომბი — 4:6, 6:2, 6:1, 6:2, ხოლო ამერიკელმა აშემ — ავსტრალიელი სტოლე — 6:4, 1:6, 6:3, 10:8. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ემერსონი და აშე.

▲ ბუდაპეშტი. უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად დანიშნულია წარსულში ცნობილი სპორტსმენი კ. მარკოვიჩი. პირველ ინტერვიუში ახალმა მწვრთნელმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა უნგრეთის წყალბურთს დავუბრუნოთ ძველი სახელი და დიდება. საამისოდ კი საჭიროა წვრთნის თანამედროვე მეთოდებზე გადასვლა“.

ფეხბურთი

## „ინტერმა“ ჩამოიტოვა მეტოქეები

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში მილანის „ინტერნაციონალემ“ კვირას ბერგამოში მოუგო ადგილობრივ „ატალანტას“ — 2:0. ორივე გოლი გაიტანა დომენგინიმ.

უხეშობით აღინიშნა „ნაპოლისა“ და ტურინის „იუვენტუსის“ მატჩი ნეაპოლში. 80.000 მაყურებელი ორივე გუნდის არასპორტული მოქმედების მოწმე გახდა. დასაწყისში ტურინელებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მასპინძელთა ფორვარდი ბეანი. 28-ე წუთზე ნეაპოლელმა ალტაფინიმ გაიტანა ერთადერთი გოლი — 1:0. მეორე ნახევარში არბიტრმა ზბარდელამ მინდვრიდან გააძევა ტურინელი კასტანო და ნეაპოლელი ნარდინი.

მილანში „მილანმა“ მოუგო „ბრეშიას“—2:1. მილანელთა ორივე გოლის ავტორია ანჯელილო.

ფლორენციაში ადგილობრივმა „ფიორენტინამ“ დაამარცხა „კალიარი“ — 2:0. ორივე გოლი გაიტანა მასპინძელთა მარჯვენა გარემარბმა ჰამრინმა.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბოლონია“ — „ფოჯა“ 1:1, „ვარეზე“ — „ლაციო“ 1:1, „რომა“ — „სამპდორია“ 1:0, „ტორინო“ — „სპალი“ 1:0, „ლანეროსი“ — „კატანია“ 1:0.

ლიდერთა ექვსეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 20 | 38:14 | 31 |
| „ნაპოლი“ | 20 | 30:15 | 28 |
| „მილანი“ | 19 | 29:16 | 27 |
| „ბოლონია“ | 20 | 35:25 | 25 |
| „ფიორენტინა“ | 20 | 24:14 | 25 |
| „იუვენტუსი“ | 20 | 17:12 | 23 |

(საქ. ინფ.).

## ნახტომი იტალიიდან... საფრანგეთში

### უნივერსიადის პირველი ოქროს მედალი

დაბა კლავიერში, რომელიც იტალიის და საფრანგეთის ზედ საზღვართან მდებარეობს, გაიმართა უნივერსიადის „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება. საინტერესოა, რომ სპორტსმენები იწყებდნენ ნახტომს იტალიაში და ეშვებოდნენ... საფრანგეთის მიწაზე.

საზღვრის ყველაზე უხეში „დამრღვევი“ აღმოჩნდა იაპონელი სპორტსმენი იოკიო კასაია, რომელიც სუვერენული საფრანგეთის ტერიტორიაზე 67 მეტრით შეიჭრა. საბჭოთა მოთხილამურემ ი. ნოსოვმა IV ადგილი დაიკავა, ხოლო ი. სიმონოვმა — V.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ძალოსნობა. ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 9 თებერვალი. საქართველოს თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის. დასაწყისი 18 ს.

ცურვა. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 51). 9 თებერვალი. საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრება. დასაწყისი 17 ს.

კლასიკური ჭიდაობა. „განთიადის“ სპორტდარბაზი (სულხან-საბას ქ. № 13). 9 თებერვალი. თბილისის პირადი პირველობა ჭაბუკთა შორის. დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, ხამდივნო—3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04844